



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #63

2015 წლის 3 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაჟა ჩოხელის ანგარიში გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 112-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინოს მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები, დარღვევები და დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები მათი დროული და სრული აღმოფხვრის მიზნით.

3.დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მორიგი ანგარიში მოსმენილი იქნეს სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ, 2016 წლის იანვარში.

4.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი